Education International

Education International
Internationale de l'Education
Internacional de la Educación

5, Bd du Roi Albert II, 8th
1210 Brussels, Belgium
Tel +32 2 224 06 11
Fax +32 2 224 06 06
headoffice@ei-ie.org
http://www.ei-ie.org

განცხადება საქართველოს შესახებ

,,განათლების ინტერნაციონალი" (EI) გამოხატავს სრულ მხარდაჭერას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) მიმართ, 2013 წლის 30 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მასწავლებელთა პროფკაშირის წინააღმდეგ განსახილველ სარჩელთან დაკავშირებით.

სამი წლის წინ, 2010 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა სპმთპ-ის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა და მის პრეზიდენტად, სპმთპ-ის წესდების შესაბამისად, არჩეულ იქნა მაია კობახიძე. 2010 წლის 30 ოქტომბერს ყრილობას ესწრებოდა ,,განათლების ინტერნაციონალის" დამკვირვებლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მტკიცებულება ადასტურებს არჩევნები ჩატარდა მასწავლებელთა პროფკავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების დაცვით, სასამართლოში შეტალი იქნა დაუშვებელი სარჩელი. 2012 წლის 25 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღიარა არჩევნების ლეგიტიმურობა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა ყრილობის შედეგების ბათილობის შესახებ. რამდენიმე თვეში, 2012 წლის ივლისში სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში. ხვალ, სარჩელის ხელახლა პირველი მოსმენა გაიმართება და ,,განათლების ინტერნაციონალი" იმედოვნებს, რომ სასამართლო კვალავ 2012 წლის 25 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს.

,,განათლების ინტერნაციონალი" გმობს სპმთპ-ის ხელმძღვანელის წინააღმდეგ განხორციელებულ მრავალგზის უკანონო ქმედებებს. ახლო წარსულში მასწავლებელთა პროფკავშირს, სპმთპ-ის ჩამოერთვა შესაძლებლობა წევრთა საწევრო ანარიცხების ცენტრალიზებული გადარიცხვით მიღებისა და მოლაპარაკებების წარმოების უფლება. ამას გარდა, განათლების სისტემის ხელმძვანელები ხელს უწყობდნენ მასწავლებელთა ყვითელი პროფკავშირების აღმოცენებას. ამ ქმედებებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში მასწავლებელთა პროფკავშირულ მოძრაობას. გადარჩენისათვის ბრძოლის ნაცვლად, მასწავლებელთა პროფკავშირს, სპმთპ-ს, უპირატესად მიაჩნია, დიალოგითა და შეთანხმებებით ხელი შეუწყოს საქართველოში ხარისხიანი განათლებისა და სწავლების შესაბამისი პირობების შექმნას.

კანონიერების დაცვასა და სამართლის პატივისცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული საქმიანობის სამართლიან გარემოში გაგრძელებისათვის. ,,განათლების ინტერნაციონალი" იმედოვნებს, რომ სასამართლო იმოქმედებს დამოუკიდებლად. ევრო კომისიის ბოლო ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სასამართლო დამოუკიდებლობა კვლავ პრობლემატური საკითხია" (ევროკავშირის სამეზობლო

პოლიტიკის განხორციელება საქართველოში- 2012 წლის პროგრესი და რეკომენდაციები, გამოქვეყნებულია 2013 წლის მარტში).

სოციალური დიალოგი დემოკრატიის ქვაკუთხედია. ,,განათლების ინტერნაციონალი“ მხარს უჭერს ხარისხიანი განათლების ამაღლების მიზნით, განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიმღებებთან სპმთპ-ის მიერ, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე წარმოებულ საქმიანობას. საქართველოსთვის, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიპარტიული კომისიის წევრისათვის, აუცილებელი ფაქტორია დასაქმებულთა ორგანიზაციებთან, მათ შორის მასწავლებელთა პროფკავშირებთან კონსულტაციების წარმოება და მათი პოზიციის გათვალისწინება.

** განათლების ინტერნაციონალი მასწავლებელთა პროფკავშირების გლობალური ფედერაცია წარმოადგენს 170 ქვეყნის 30 მილიონ მასწავლებელს, რომლის წევრი არის სპმთპ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი*

29 ოქტომბერი 2013